

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ შორის 2012 წლის 23 იანვარს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე ქ. თბილისი, საქართველო 21 ოქტომბერი, 2016 წ.

AGREEMENT

In relation to the Amendment of Memorandum of Understanding Signed between Government of Georgia and “Hydro Development Company” LLC on January 23, 2012 Tbilisi, Georgia 21 October, 2016

<p>წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში წოდებული, როგორც „შეთანხმება“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:</p> <p>(1) საქართველოს მთავრობა (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, ილია ელოშვილი მიერ;</p> <p>(2) შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „კომპანია“), ს/კ: 400023728, წარმოდგენილი მისი დირექტორის, პლატონ ფხალაძის მიერ;</p> <p>(3) სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში წოდებული, როგორც „სსე“), ს/კ: 204995176, წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის, სულხან ზუმბურიძის მიერ;</p> <p>(4) სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო“ (შემდგომში წოდებული, როგორც „საქრუსენერგო“), ს/კ: 211324468, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, რომეო მიქაუტაძის მიერ;</p> <p>(5) შპს „ენერგოტრანსი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „ენერგოტრანსი“), ს/კ: 204991786, წარმოდგენილი დირექტორის, კახა სეხნიაშვილის მიერ;</p> <p>(6) სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ.</p>	<p>The present Agreement (hereinafter referred to as “Agreement”) is signed by and between the following parties:</p> <p>(1) Government of Georgia (hereinafter referred to as “GOG”), represented by the Minister of Energy of Georgia, Mr. Ilia Eloshvili;</p> <p>(2) “Hydro Development Company” LLC (hereinafter referred to as “Company”), ID: 400023728, represented by its Director, Mr. Platon Pkhaladze;</p> <p>(3) JSC “Georgian State Electrosystem” (hereinafter referred to as “GSE”), ID: 204995176, represented by its Rehabilitation Manager/Chairman of Management Board, Mr. Sul Khan Zumburidze;</p> <p>(4) JSC “United Energo System SAKRUSENERGO” (hereinafter referred to as “SAKRUSENERGO”), ID: 211324468, represented by its General Director, Mr. Romeo Mikautadze;</p> <p>(5) “Energotrans” LLC (hereinafter referred to as “ET”), ID: 204991786, represented by its Director, Mr. Kakha Sekhniashvili;</p> <p>(6) JSC “Electricity System Commercial Operator” (hereinafter referred to as “ESCO”), ID: 205170036, represented by its General Director, Mr. Vakhtang Ambokadze.</p>
--	---

<p>მხარეები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თანხმდებიან, საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ შორის 2012 წლის 23 იანვარს „კინტრიშას“ ჰიდროელექტროსადგურის (შემდგომში წოდებული, როგორც „ერლექტროსადგური“) მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში (2013 წლის 26 ივლისის ცვლილებებით) (შემდგომში წოდებული, როგორც „მემორანდუმი“) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:</p>	<p>In accordance with the Laws of Georgia, the Parties agree to make the following changes into the Memorandum of Understanding signed between the Government of Georgia and “Hydro Development Company” LLC on January 23, 2012 (as amended on July 26, 2013) (hereinafter referred as “MOU”) for construction, operation and ownership of “Kintrisha” Hydro Power Plant (hereinafter referred as “Facility”):</p>
<p>1.მემორანდუმის მხარეებს დაემატოს შემდეგი მხარეები: სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო“ და შპს „ენერგოტრანსი“.</p>	<p>1.The following parties shall be added to the Parties of the MOU: JSC “Electricity System Commercial Operator”, JSC “Georgian State Electrosystem”, JSC “United Energo System SAKRUSENERGO” and LLC “Energotrans”.</p>
<p>2.მემორანდუმს დაემატოს შემდეგი განმარტებები შემდეგი რედაქციით:</p> <p>„ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება“ ნიშნავს „ესკოსა“ და კომპანიას შორის ამ მემორანდუმის შესაბამისად გასაფორმებელ პირდაპირ ხელშეკრულებას.</p> <p>„ელექტროგადამცემი ქსელი“ ნიშნავს „სსეს“, „ენერგოტრანსის“ ან/და „საქრუსენერგოს“ საკუთრებაში არსებულ და მათ მიერ ოპერირებულ ელექტროგადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებს (მათ შორის, საქართველოში მდებარე „ახალციხე-ბორჩხას“ ელექტროგადამცემ ხაზსა და 500/400/220 კვტ. ქვესადგურ „ახალციხეს“), რომელიც საჭიროა ელექტროენერჯის თურქეთის საზღვრამდე გადაცემის მიზნით.</p> <p>„გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულება“ ნიშნავს ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის შესახებ „სსეს“, „ენერგოტრანსის“, „საქრუსენერგოსა“ და კომპანიას შორის გასაფორმებელ</p>	<p>2.The following definitions shall be added to the MOU and read as follows:</p> <p>“Guaranteed Power Purchase Agreement” shall mean the direct agreement that shall be signed between the Company and ESCO in accordance with the MOU.</p> <p>“Power Transmission Network” shall mean the power transmission lines and substations (including “Akhalsikhe – Borchka” power transmission line located in Georgia and 500/400/220 kV Substation “Akhalsikhe”) necessary for transmission of electricity to the Turkish border, owned and operated by GSE, ET and/or SAKRUSENERGO.</p> <p>“TDA” shall mean Electricity Transmission and Dispatch Agreement to be signed between GSE, ET, SAKRUSENERGO and the Company, which shall form a legal basis for ensuring transmission of the generated electricity and reservation of the capacity by the Facility for the export purposes through Power Transmission Network.</p> <p>“Initial Operation Period” shall mean 10-year</p>

ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს გამოიმუშავებული ელექტროენერჯის ელექტროგადამცემი ქსელის მეშვეობით, ექსპორტის მიზნით, გადაცემისა და ელექტროსადგურის მიერ სიმძლავრის რეზერვაციის სამართლებრივ საფუძვლებს.

„საწყისი ექსპლუატაციის პერიოდი“ ნიშნავს ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10-წლიან პერიოდს.

„ბაზრის წესები“ ნიშნავს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებულ „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებს“.

„ქსელის წესები“ ნიშნავს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილის N10 ბრძანებით დამტკიცებულ „ქსელის წესებს“.

„მიიღე ან გადაიხადე პრინციპი“ ნიშნავს „გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ხელშეკრულების“ შესაბამისად განსაზღვრულ პრინციპს, რომლის თანახმადაც:

ა) იმ შემთხვევაში, თუ „სსე“, „საქრუსენერგო“ ან/და „ენერგოტრანსი“, ერთობლივად ან ცალ-ცალკე, საკუთარი ბრალით კომპანიას სრულად ვერ უზრუნველყოფენ მემორანდუმის 3.5 პუნქტში მითითებული მომსახურებით, დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს კომპანიას ამის შედეგად მიუღებელი შემოსავალი, „გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ხელშეკრულებით“ დადგენილი იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც წარმოადგენენ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლებს. მიუღებელი შემოსავლის ოდენობა გამოიანგარიშება გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; და

ბ) კომპანია ვალდებულია, „სსეს“, „საქრუსენერგოსა“ და „ენერგოტრანსს“

period from the Commencement of Operation of the Facility.

„Market Rules“ shall mean the Electricity (Capacity) Market Rules, approved by Order #77 of the Minister of Energy of Georgia on August 30, 2006.

“Network Code” shall mean the Network Code approved by Resolution N10 of Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission on April 17, 2014”.

“Take or Pay principle” means the principle whereby, in accordance with the terms of the TDA:

- a) If ET, GSE and/or SAKRUSENERGO, jointly or severally, at its own fault fail to provide the Company with necessary dispatch and transmission services as defined in Sub Article 3.5 of the MOU, the defaulting party shall in accordance with the terms and conditions of the TDA reimburse the Company the full amount of the loss of Profit which the Company incurs due to ET's, GSE's and/or SAKRUSENERGO's failure to comply with their obligations under the TDA, except for the events that provide for exemption from liabilities as specified in the TDA. Amount of such loss of profit shall be calculated according to the terms of TDA; and
- b) The Company is obliged to pay to ET, GSE and SAKRUSENERGO a specified amount for the dispatch and transmission services as defined in Sub Article 3.5 of the MOU even if the Company utilizes fewer amounts of services than pre-agreed between the Parties, except for the events that provide for exemption from liabilities as specified in the TDA.

<p>გადაუხადოს მემორანდუმის 3.5 მუხლში მითითებული გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის მომსახურებისათვის განსაზღვრული თანხა იმ შემთხვევაშიც, თუ კომპანია გამოიყენებს მხარეებს შორის წინასწარ შეთანხმებულზე ნაკლები მოცულობის მომსახურებას, „გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით“ დადგენილი იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც წარმოადგენენ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლებს.</p>	
<p>3.შეიცვალოს მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</p> <p>„3.3. საქართველოს ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის შესაბამისი წლის შემდეგ თვეებში: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი - ელექტროსადგურის მიერ ფაქტობრივად გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული ოდენობის რეალიზაციას კომპანია განახორციელებს ექსკლუზიურად „ესკოზე“ საწყისი ექსპლუატაციის ფარგლებში მოქმედი „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების“ შესაბამისად, ხოლო „ესკო“ ვალდებულია შეისყიდოს ელექტროენერჯია მიწოდების პუნქტში ტარიფით - 6 (ექვსი) აშშ ცენტი - 1 კვტ.საათი. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმში განსაზღვრული პირობებით „ესკოს“ მიერ ელექტროენერჯის შესყიდვის ვალდებულება ძალაში შედის „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების“ ხელმოწერისა და მისი „ბაზრის წესებით“ დადგენილი წესით რეგისტრაციის მომენტიდან.“</p>	<p>3.Sub Article 3.3 of Article 3 of the MOU shall be amended and read as follows:</p> <p>“3.3 In order to ensure electricity demand of Georgia, for the Initial Operation Period during the following months of the respective year: January, February, March, April, September, October, November, December - the Company shall sell the full amount of factually generated electricity to ESCO by means of the the Guaranteed Power Purchase Agreement being in force within the Initial Operation Period and ESCO shall be obliged to acquire the electricity at the point of delivery at a tariff of 6.0 (six) US Cents per KWh. For avoidance of any doubt, ESCO’s obligation to acquire the electricity in accordance with the terms and conditions of this MOU shall be effective as of the execution of the Guaranteed Power Purchase Agreement and its registration in accordance with the Market Rules.”</p>

4.მემორანდუმის მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.3<sup>1</sup> პუნქტი:  
 “3.3<sup>1</sup>. იმ შემთხვევაში, თუ: (1) ურთიერთგაგების მემორანდუმით დადგენილი პირობების შესაბამისად ელექტროსადგურის მიღებულია ექსპლუატაციაში, (2) მიერთებულია “ელექტროგადამცემ ქსელთან” „ქსელის წესების“ მოთხოვნების თანახმად და მზად არის გამოიმუშაოს ელექტროენერგია, და (3) კომპანიას მინიჭებული აქვს კვალიფიციური საწარმოს სტატუსი „ბაზრის წესების“ საფუძველზე, მაგრამ ამ დროისათვის „ესკოსა“ და კომპანიას შორის არ არის გაფორმებული „ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება“, ასეთ შემთხვევაში ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის შესყიდვა „ესკოს“ მიერ შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

4.Sub Article 3.3<sup>1</sup>. shall be added to Article 3 of the MOU and read as follows:

„3.3<sup>1</sup>. If: (1) the Facility has commenced operation in accordance with the terms and conditions of the MOU, (2) the Facility is connected to the Power Transmission Network in line with the rules defined by the “Gird Code” and is ready to generate the electricity, and (3) the Company has acquired the status of the qualified enterprise as defined by the Market Rule, but by that time the Guaranteed Purchase Agreement is not signed between ESCO and the Company, in this case ESCO may purchase the electricity generated by the Facility according to the rules established by the Georgian Legislation.“

5.მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.4 პუნქტი სრულად იქნას ამოღებული მემორანდუმიდან.

5.Sub Article 3.4 of Article 3 of the MOU shall be hereby deleted from the MOU in its entirety.

6.შეიცვალოს მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.5 საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის შესაბამისი წლის შემდეგ თვეებში: მაისი, ივნისი, ივლისი და აგვისტო - ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტის მიზნით, „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ კომპანიას უზრუნველყოფენ საჭირო დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის მომსახურებით, ხოლო „ენერგოტრანსი“ დამატებით უზრუნველყოფს კომპანიას გამტარუნარიანობის საჭირო მოცულობით „ახალციხე-ბორჩხას“ ელექტროგადამცემი ხაზის მის კუთვნილ ნაწილზე ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის თურქეთის საზღვრამდე გადაცემისთვის „მიიღე ან გადაიხადე პრინციპის“ საფუძველზე გაფორმებული და საწყისი ექსპლუატაციის ფარგლებში მოქმედი გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის

6.Sub Article 3.5 of Article 3 of the MOU shall be amended and read as follows:

„3.5 For the purpose of the export of electricity produced by the Facility, for the Initial Operation Period during the following months of the respective year: May, June, July, August - GSE, ET and SAKRUSENERGO shall provide Company with necessary dispatch and transmission services and ET additionally with necessary capacity through its own portion of “Akhaltzikhe-Borchka” power transmission line to export electricity produced by the Facility to the Turkish border, by means of the Transmission and Dispatch Agreement (hereinafter referred as “TDA”) based on the Take-or-Pay Principle and being in force within the Initial Operation Period, for the time period of each year specified in the TDA during the following months: May, June, July and August within the periods and space of time during which full amount of power to be generated (together with an amount of other export power)

<p>ხელშეკრულების შესაბამისად, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველი წლის შემდეგ თვეებში: მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, იმ პერიოდებისა და დროის მონაკვეთებისათვის, რომლის დროსაც ახალციხე-ბორჯხას ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით გადასაცემი სიმძლავრის საერთო მოცულობა (სხვა საექსპორტო მოცულობებთან ჯამში) საკმარისი იქნება 500/400/220 კვტ. ქვესადგური „ახალციხის“ ტექნიკური პარამეტრებით გათვალისწინებულ დასაშვებ ფარგლებში ფუნქციონირებისთვის. ყოველგვარი ექვსის თავიდან აცილების მიზნით, მემორანდუმის ამ პუნქტით განსაზღვრული დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის მომსახურების გაწევის ვალდებულება ძალაში შედის „ბაზრის წესებით“ დადგენილი წესით ხელმოწერილი და რეგისტრირებული „გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის შესახებ ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომენტიდან, მაგრამ არაუადრეს შესაბამისი რეგისტრაციის თარიღისა.“</p>	<p>shall be adequate for functioning of the 500/400/220Kw sub-facility “Akhaltzikhe” in accordance with the technical parameters of this facility. For avoidance of any doubt, obligation to provide the transmission and dispatch services as defined by this Sub Article of the MOU shall be effective as of the term defined by the TDA that is duly signed and registered in accordance with the Market Rules, but no earlier than the respective registration.”</p>
<p>7.მემორანდუმის მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5.3. პუნქტი: „5.3. საქართველოს მთავრობის ან კომპანიის მიერ მემორანდუმის შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყდება გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებისა და გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების მოქმედება.“</p>	<p>7.Sub Article 5.3. shall be added to Article 5 of the MOU and read as follows: “5.3. Termination of the MOU by the GOG or by the Company shall cause the termination of the Guaranteed Power Purchase Agreement and the TDA.“</p>
<p>8. შეიცვალოს მემორანდუმის N1, N2, N3 და N5 დანართები და შესაბამისად, ჩამოყალიბდეს ამ შეთანხმებაზე თანდართული N1, N2, N3 და N4 სახით.</p>	<p>8. Annex N1, N2, N3 and N5 shall be amended and read as enclosed in Addition N1, N2, N3 and N4 to this Agreement, respectively.</p>
<p>9.მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები, ისევე, როგორც მათი ნუმერაცია, დარჩეს უცვლელი.</p>	<p>9.All other articles and provisions of the MOU as well as their numbering shall remain unchanged.</p>
<p>10.წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მთავრობის მიერ მისი მოწონებისა და მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.</p>	<p>10.The present Agreement shall enter into force upon its approval by the Government of Georgia and execution by the Parties.</p>

<p>11.წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. შეთანხმება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე ექვს თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად. შეთანხმების სხვადასხვა ენაზე შესრულებულ ვერსიებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენაზე შესრულებულ ვერსიას.</p>	<p>11.The present Agreement is indivisible part of the MOU and is in force within it. This Amendment is made in Georgian and English languages, in 6 equally legally binding copies. In the event of any inconsistency between Georgian and English versions of the MOU, the Georgian version shall prevail.</p>
<p>12.წინამდებარე შეთანხმება რეგულირდება და განმარტებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.</p>	<p>12.The present Agreement shall be governed by, and construed in accordance with, the laws of Georgia.</p>
<p>13.ამ შეთანხმების ფარგლებში ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა ან/და უთანხმოება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.</p>	<p>13.Any dispute and/or controversy arising out of and/or in relation to this Agreement shall be definitively settled by the Common Courts of Georgia in accordance with the laws of Georgia.</p>

მხარეთა ხელმოწერები:  
Signatories:

საქართველოს მთავრობა  
Government of Georgia

ილია ელოშვილი  
Ilia Eloshvili

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“  
“Hydro Development Company” LLC

პლატონ ფხალაძე  
Platon Pkhaladze

სს „საქართველოს საერთაშორისო ელექტროსისტემა“  
JSC “Georgian International Electrosystem”

სულხან ჯიბურჯიძე  
Sulkhan Zurburidze




სს „გაერთიანებული ენერჯეტიკის კორპორაცია“  
JSC "United Energy System SA" "ENERGOT"

რომეო მიქაუტაძე  
Romeo Mikautadze




შპს „ენერჯოტრანსი“  
"Energotrans" LLC

კახა საჩხაშვილი  
Kakha Sachkashvili



სს „ელექტროენერჯეტიკის სისტემის კომერციული ოპერატორი“  
JSC "Electricity System Commercial Operator"

ვახტანგ ამბოჯაძე  
Vakhtang Ambogadze





შეთანხმებაზე დამატება N1  
Addition No1 to the Agreement

დანართი N1/ ANNEX No1

ადგილმდებარეობა / Location

სახელწოდება NAME	მდებარეობა LOCATION	ნიშნულები RIVER ELEVATION	
კინტრიშა ჰესი / Kintrisha HPP	აჭარის რეგიონი, მდინარე კინტრიში/ Adjara Region, Kintrisha River	219, 8 მ.ზ.დ. 219, 8 m.a.s.l.	155,57 მ.ზ.დ. 155,57 m.a.s.l.

შეთანხმებაზე დამატება N2  
Addition N2 to the Agreement

დანართი N2/ ANNEX No2

სიმძალერე/Capacity

სახელწოდება NAME	დადგმული სიმძალერე (მგვტ) Estimated Capacity (MW)
კინტრიშა ჰესი / Kintrisha HPP	6.0

შეთანხმებაზე დამატება N3  
Addition No3 to the Agreement

დანართი N3/ ANNEX No3

ინვესტიციის მოცულობა/Investment Amount


სახელწოდება NAME	ინვესტიციის მოცულობა/ Investment Amount
კინტრიშა ჰესი / Kintrisha HPP	12,000,000.00 აშშ დოლარი 12,000,000.00 USD

დანართი N5/ ANNEX No5

წლიური გამომუშავება/Annual Generation

სახელწოდება NAME	წლიური გამომუშავება (მლნ.კვტ.სთ) Annual Generation (mln.KWH)
კინტრიშა ჰესი / Kintrisha HPP	38,9

ქართული



# საქართველოს მთავრობის ბანაკრეულა


№2167 2016 წლის 7 ოქტომბერი ქ.თბილისი

საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ შორის  
2012 წლის 23 იანვარს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, სს „გაერთიანებულ ენერჯეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები შეთანხმება, საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ შორის 2012 წლის 23 იანვარს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010143116471816

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№5784

31 / აგვისტო / 2016 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის  
მინისტრის მოადგილეს,  
ნატონ ირაკლი ხმალაძეს

ნატონ ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2016 წლის 30 აგვისტოს №04/3514 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო ელექტროპოტენც კომპანის“ შორის 2013 წლის 23 იანვარს დადებულ მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი და გაცნობებით, რომ მასთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

აქვე შევნიშნავთ, რომ ცვლილების პროექტი შეიცავს ტექნიკური ხასიათის ხარვეზს, კერძოდ, ცვლილების პროექტის ინგლისური ტექსტის პირველ პუნქტში მეოთხე მითითება „JSC Electricity System Commercial Operator“-ზე უნდა შეიცვალოს „JSC Georgian State Electrosystem“-ზე მითითებით.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

გიორგი ლორთქიფანიძე



4524-09-2-201609151523

N 4524/09

15/09/2016

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ განიხილი თქვენი 30.08.2016წ. N04/3517 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ შორის 2013 წლის 23 იანვარს დადებულ მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

შეთანხმების პროექტის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მემორანდუმის 3.5 პუნქტის პირველი აბზაცის თანახმად, საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი წლის შესაბამის თვეებში კომპანია უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამტარუნარიანობის საჭირო მოცულობით „ახალციხე-ბორჯხას“ ელექტროგადამცემი ხაზის „ენერგოტრანსის“ კუთვნილ ნაწილზე.

მემორანდუმით განსაზღვრული კინტრიშა ჰესის ექსპლუატაციაში მიღება დაგეგმილია 2016 წლის 15 ოქტომბერს, შესაბამისად, სათანადო გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების გაფორმება შეიძლება ვერ მოესწროს დროის ამ მოკლე პერიოდში და შეუძლებელი იქნება საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის პირველ სრულ წელზე (2017 წელი) კინტრიშა ჰესისთვის წინასწარი პრიორიტეტულობით გამტარუნარიანობის მოცულობის გადანაწილება საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, პროექტში უნდა იქნეს შეტანილი სათანადო შესწორება ზემოხსენებული შესაძლო შეუსაბამობის გამორიცხვის მიზნით.

პატივისცემით,

მამუკა სხილაძე

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი



საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2/ 2 Baratashvili str. Tbilisi 0105, Georgia ტელ./ფაქსი/tel./fax: +995(32)2510140

15/09/2016

N 529

529-01-2-201609151515




### საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

თქვენი 2016 წლის 06 სექტემბრის #04/3610 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ შპს „ენერგოტრანსმა“ განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუნდს“ სს „საქართველოს სახლმწიფო ელექტროსისტემას“ სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“, შპს ენერგიტრანსს და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასაბუთებული ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,  
კახა სეხნიაშვილი

დირექტორი





**ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი  
Electricity Market Operator**

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2  
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia  
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/1090  
15/09/2016

1090-01-2-201609151712



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის

მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 30 აგვისტოს N04/3517 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განიხილა საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ შორის 2013 წლის 23 იანვარს დადებულ მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი (კინტრიშა ჰესი) და მოგახსენებთ, რომ ვეთანხმებით წარმოდგენილ დოკუმენტს ქვემოთ მოცემული შენიშვნის გათვალისწინებით:

ვინაიდან წარმოდგენილი პროექტით ურთიერთგაგების მემორანდუმს ხელმომწერ მხარედ ემატება ესკო, როგორც სადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის გარანტირებულად შემსყიდველი პირი, ამასთან სადგურის ექსპლუატაციაში გაშვება დაგეგმილია მიმდინარე წლის ოქტომბერში, არსებობს იმის რეალური ალბათობა, რომ ვერ მოესწრება კომპანიასთან „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების“ გაფორმება. შესაბამისად, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების შეტანა.

შეთანხმების პროექტის მე-3 მუხლი, რომლითაც იცვლება მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.3 პუნქტი, უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.3 საქართველოს ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის შესაბამისი წლის შემდეგ თვეებში: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი - ელექტროსადგურის

**OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE**

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“  
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახელო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ. კოდი 205170036

**ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC**  
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036


მიერ ფაქტობრივად გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული ოდენობის რეალიზაციას კომპანია განახორციელებს ექსკლუზიურად „ესკოზე“საწყისი ექსპლუატაციის ფარგლებში მოქმედი „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების“ შესაბამისად, ხოლო „ესკო“ ვალდებულია შეისყიდოს ელექტროენერჯია მიწოდების პუნქტში ტარიფით - 6 (ექვსი) აშშ ცენტი - 1 კვტ.საათი. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმში განსაზღვრული პირობებით „ესკოს“ მიერ ელექტროენერჯის შესყიდვის ვალდებულება ძალაში შედის „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების“ ხელმოწერისა და მისი „ბაზრის წესებით“ დადგენილი წესით რეგისტრაციის მომენტიდან.“

გარდა ამისა, მე-3 მუხლს დაემატოს 3.3<sup>1</sup> პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3.3<sup>1</sup>. იმ შემთხვევაში, თუ: (1) ურთიერთგაგების მემორანდუმით დადგენილი პირობების შესაბამისად ელექტროსადგური მიღებულია ექსპლუატაციაში, (2) მიერთებულია „ელექტროგადამცემ ქსელთან“ „ქსელის წესების“ მოთხოვნების თანახმად და მზად არის გამოიმუშაოს ელექტროენერჯია, და (3) კომპანიას მინიჭებული აქვს კვალიფიციური საწარმოს სტატუსი „ბაზრის წესების“ საფუძველზე, მაგრამ ამ დროისათვის „ესკოსა“ და კომპანიას შორის არ არის გაფორმებული „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება“, ასეთ შემთხვევაში ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის შესყიდვა „ესკოს“ მიერ შესაძლებელია განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

პატივისცემით,

ზაზა დვალისვილი




გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

საქრუსენერგო

სს გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა

SAKRUSENERGO

JSC UNITED ENERGY SYSTEM



N 05/731  
31/08/2016

731-05-2-201608311544



საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

განვიხილეთ თქვენი 2016 წლის 30 აგვისტოს #04/3517 წერილი და საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ შორის 2013 წლის 23 იანვარს დადებულ მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ შეთანხმების ინგლისური რედაქციის მე-5 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებში სს გეს „საქრუსენერგოს“ შემოკლებული საფირმო სახელწოდება GREC უნდა შეიცვალოს სახელწოდებით SAKRUSENERGO.

პატივისცემით,

რომეო მიქაუტაძე

გენერალური დირექტორი